

საქართველო საქართველო

#1(2) 2007





ღასაველეთ საქართველო, სვანეთი
Західна Грузія, Сванеті

* * *

ძვირფასო მკითხველო,

ჟურნალი „საქართველო“ ერთადერთი ორენოვანი გამოცემა უკრაინაში, ქართულ და უკრაინულ ენებზე რომ იბეჭდება. ქართული ემიგრაციის ზრდამ აუცილებელი გახადა ამ ჟურნალის დაარსება. უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“ უკვე მეორე ნომერს გთავაზობთ. ვეცადეთ გულწრფელი ფოთფილიყავით და ჩვენი ქვეყნის სითბოსა და მაღლს თქვენამდე მოეღწია.

სასიხარულოა, რომ ჟურნალი „საქართველოს“ პირველი ნომერს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მონონება დაიმსახურა. თქვენგან მიღებულია წერილებმა და მაღლობის ბარათებმა განგვანყო მეორე ნომერი უფრო საინტერესო გაგვეხადა. შევეცდებით გაფიფალისწინოთ თქვენი სურვილები და შენიშვნები, და საერთოდ, უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელის“ საქმიანობა, უფრო საინტერესო გავხადოთ.

მინდა დავარწმუნოთ, რომ კიევის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ყველაფერს იღონებს რათა ჩვენს მომავალ თაობას მშობლიური ენის, ისტორიისა და კულტურის სიყვარული და ინტერესი გაუღრმავოს. სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენს ცენტრში არა მარტო ქართველები სწავლობენ, არამედ უკრაინელებიც, ისინი დიდი სიამოვნებით ეუფლებიან ქართულ ენასა და კულტურულ ტრადიციებს.

უკრაინის ქართველთა საზოგადოებისა და ჟურნალი „საქართველოს“ მიზანი ქართული დიასპორის შეკავშირება, მომავალი თაობისათვის ქართული ცნობიერების შენარჩუნება და იმ სიახლეთა გაცნობაა, დღეს რომ ჩვენს ცხოვრებაში ხდება.

გესურს, რომ, სწორედ, ჩვენი ჟურნალი გახდეს ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც უკრაინის დაცალკევებულ ქართულ დიასპორას შეაკავშირებს და გზას გაუკაფავს საზოგადოებასთან წარმატებული ინტეგრაციისაკენ.

ბესიკ შამუგია
უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელის“
პრეზიდენტი, (პროექტის ავტორი)



Шановне читачу!

Журнал „Сакартвело“ („Батьківщина“) - це єдиний в Україні журнал, що виходить українською та грузинською мовами. Збільшення чисельності грузинської еміграції в Україні поставило питання про необхідність заснування такого видання. Асоціація грузинів в Україні „Іберіелі“ пропонує Вам уже другий номер часопису. Ми намагалися бути щирими, щоб довести до Вас теплоту та щирість нашої країни.


Вельми радісним є те, що після виходу першого номера „Сакартвело“ ми отримали масу позитивних відгуків. Отримані від Вас листи вдячності надихнули нас на те, щоби намагатися зробити другий номер журналу ще цікавішим. Докладатимемо зусиль, аби врахувати Ваші побажання та зауваження, справедливу критику і загалом зробити діяльність Асоціації грузинів в Україні „Іберіелі“ значно ефективнішою.

Хочемо запевнити Вас, що Київський культурно-просвітницький Центр нашої Асоціації робитиме все можливе, щоби майбутні покоління українців і грузинів поглиблювали своє прагнення вивчати і шанувати свою культуру, мову, історію. Дуже тішить, що нині в Київському культурно-просвітницькому Центрі навчаються не лише грузини, а й українці. Вони з великою приємністю вивчають грузинську мову, традиції та культуру.

Завданням грузинської громади в Україні та журналу „Сакартвело“ є об’єднання грузинів, які мешкають в Україні, щоби наші нащадки зберігали грузинську свідомість, а також ознайомлення з новинами сьогодення.

Ми прагнемо, щоби журнал „Сакартвело“ став фактором, який сприятиме успішному об’єднанню розпорошеної грузинської діаспори в Україні в єдину громаду.

Бесік Шамугія
Президент Асоціації грузинів в Україні „Іберіелі“
(автор проекту)



ტ. შევჩენკოს ძეგლი თბილისში
Пам'ятник Т. Шевченку у Тбілісі

რუსთაველისა და შევჩენკოს ნათელი

სოსო ჩოჩია

ჩვენი ქვეყნების – საქართველოსა და უკრაინის – ბოლო თვეების კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებად უნდა ჩაითვალოს დიდი კობზარის ძეგლის გახსნა თბილისში, უნივერსიტეტის წინ და – ჩვენი სასიქადულო შოთა რუსთაველის ძეგლისა და სკვერის გახსნა კიევის ცენტრში, მისივე სახელობის ქუჩაზე.



უკრაინის პრეზიდენტი გ. იუშჩენკო რუსთაველის ძეგლთან
Президент України В. Ющенко у пам'ятника Ш. Руставелі

Світло Руставелі та Шевченка

Сосо Чочія

Найважливішим явищем культурного життя останніх місяців в Грузії та Україні стало відкриття пам'ятника великому Кобзареві у Тбілісі (навпроти держуніверситету), а також спорудження монумента та скверу на честь Шота Руставелі у центрі столиці України по вулиці, що носить ім'я видатного грузинського письменника.

Складно переоцінити роль цих митців в духовному житті обох націй. Шота Руставелі ще в XI столітті сягнув висот красного письменництва і є неzapepечним класиком всесвітньої літератури донині, а Тараса Шевченка справедливо називають „духовним батьком“ українців. Закономірно, що для увіковічнення та висловлення взаємної шани обидва народи, так би мовити, „обмінялися“ пам'ятниками шанованих осіб, що би більше пізнати культуру та шанувати духовні цінності обох народів.

ძნელია შეათვასო ამ ორი დიდი შემოქმედის როლი ჩვენი ერების სულიერ ცხოვრებაში. შოთა რუსთაველმა, ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში დაიპყრო მსოფლიო პოეზიის პარნასი, ხოლო ტარას შევჩენკოს – სამართლიანად უწოდებენ უკრაინელი ხალხის სულიერ მამას და უბრაინია, რომ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად და ურთიერთპატივისცემის დასტურად, ჩვენმა ერებმა, ასე ვთქვათ, „გასცვალეს“ სათაყვანო და საამაყო პიროვნებათა ძეგლები, რათა მეტი იკლდნენ ერთმანეთის შესახებ და პატივი სცნენ ერთმანეთის სულიერ ფასეულობებს. ჩვენთვის, ქართველებისათვის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ბიბლიისტოლა წიგნია, თუ გნებავთ, ჩვენი რწმენის, ტრადიციებისა და მენტალობის ბიბლია, ქვაკუთხედი, საფუძველთა-საფუძველი, ბალავარი და მტკიცე კედელი ჩვენი არსებობისა, იმედი საქართველოსა და ქართველი ხალხის უკვდავებისა და, ამდენად, იმედი უკეთესი ხვალისდელი დღისა... შეუძლებელია არ დაეთანხმო სიტყვებს: „როგორც პომეროსია ელადა, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, სერვანტესი – ესპანეთი, რუსთაველი საქართველოა...“.

ცნობილი ფაქტია ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შეხვედრა 1859 წელს, პეტერბურგში, ისტორიის პროფესორ ნიკოლოზ კოსტომაროვის ბინაზე. მათ მთელი საღამო ცხოველ საუბარში გაუტარებიათ. საუბრობდნენ სარწმუნოებაზე, საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე – მოსე ხონელიზე, შავთელზე, ჩახრუხაძეზე, რუსთაველზე... რუსთაველი ხომ ჩვენი ღვთაებრივი აკაკის განსაკუთრებული სიყვარული იყო, უნივერსიტეტში მისი საკანდიდატო ნაშრომიც „ვეფხისტყაოსანს“ ეხებოდა თურმე.

ამდენად, სავარაუდოა, რომ ტარას შევჩენკო კარგად იცნობდა რუსთაველის უკვდავ პოემას, თუმცა, იმხანად, მის სიცოცხლეში, სრული თარგმანი არ არსებობდა და ალბათ, შემთხვევითიც არაა, რომ სწორედ მისი მეგობარი და თანამოაზრე მიკოლა გულაკი – პირველი უკრაინელი მეკლეგარი იყო „ვეფხისტყაოსნისა“, მან, თბილისის პირველი გიმნაზიის მტატგარეშე თანამშრომელმა, რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხა თბილისში შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ამ ლექციებს „დროებაში“ ივანე მაჩაბლის დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, ეს იყო 1884 წელი; „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უკრაინული თარგმანის მკდილობაც, აგრეთვე ტარას შევჩენკოს მეგობარს – ალექსანდრე ნაგოლცკის ეკუთვნის, მან, თავისი ცხოვრების ბოლო ორი-სამი წელი შეაღია ამ თარგმანს და სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა. ეს გახლავთ არა მარტო პირველი უკრაინული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“, არამედ ერთ-ერთი პირველი თარგმანი მსოფლიო ლიტერატურის ამ გაუხუნარი ძეგლისა.▶

Для нас, грузинів, безсмертний твір Руставелі „Витязь у тигровій шкурі“ є своєрідною Біблією нашої віри, традицій та ментальності. Це наріжний камінь, основа основ, оплот і нездоланий бастион нашого буття. Це надія на безсмертя Грузії та нашого народу, відтак сподівання на краще майбуття... Неможливо не погодитися зі словами поета: „Як Гомер є Еладою, так Данте – Італією, Шекспір – Англією, Сервантес – Іспанією, так Руставелі є Грузією...“

Відомий факт: Тарас Шевченко і Акакій Церетелі зустрічалися в Петербурзі у 1859 році в квартирі професора історії Миколи Костомарова. Цілу ніч вони у жвавій бесіді обмінювалися думками про релігію, історію та літературу Грузії. Зокрема, геніальні поети вели розмову про творчість видатних представників грузинської культури – письменника XII ст. Мосе Хонелі; поета, філософа і ритора XII-XIII ст. Іоанна Шавтелі; видатного поета XII ст. Чахрухадзе та про самого Руставелі. Обожнюваний усіма грузинами Церетелі особливо шанував творчість Шота Руставелі і навіть кандидатську роботу присвятив його „Витязу...“

Відтак, цілком імовірно, що Шевченко добре знав поему „Витязь у тигровій шкурі“, хоча в середині XIX ст. не існувало перекладу повної версії цієї поеми. І, мабуть, не випадково, що саме друг і одностудець Тараса Григо-



ტ. შევჩენკოს ძეგლის გახსნა თბილისში
Відкриття пам'ятника Т. Шевченку у Тбілісі

ровича Микола Гулак був першим українським дослідником творчості Руставелі. Микола Гулак – позаштатний працівник першої Тбіліської гімназії – прочитав у Тбілісі кілька публічних лекцій про життя і творчість Шота Руставелі, після яких у журналі „Дроеба“ (“Часи”)▶



საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები შ. რუსთაველის ძეგლის გახსნის დღეს
Президенти Грузії та України у день відкриття пам'ятнику Ш. Руставелі

დღეს კი, უკვე 70 წელზე მეტია რაც უკრაინელები „ვეფხისტყაოსნის“ ბაჟანისეულ თარგმანს კითხულობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უკვდავი პოემის რუსულად ერთ-ერთი მთარგმნელი – პანტელეიმონ პეტრენკო, წარმოშობით უკრაინელი იყო.

ისიც უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ტარას შევჩენკოს აკაკი წერეთელზე (პოეტის მოგონებები ამ შეხვედრის შესახებ პირველად გაზეთ „ამიერკავკასიაში“ დაიბეჭდა 1911 წლის 26 თებერვალს): „აღვიარებ, რომ მე პირველად მისი (შევჩენკოს) სიტყვიბიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული“ – წერდა პოეტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდში კი ინახება აკაკის ხელნაწერი, რომელშიც იგი დიდი კობზარის შესახებ წერს: „დიდ ადამიანებს დიდი ერები წარმოშობენ, ისინი, საკუთარი ერის გარდა, სხვებსაც ეკუთვნიან – ამიტომაც, ჩვენც, ქართველებს, ნება გვიბოძეთ შევეერთეთ დიდ დღესასწაულს და პატივი ვცეთ ამ დიდი უკრაინელის სსოვნას“.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე სრულიად ბუნებრივია ის გადანწყვეტილება, საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში ვიზიტის დროს (2005 წლის 24-26 მარტი) რომ მიიღეს საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა, ტარას შევჩენკოს ძეგლის თბილისში დადგმის შესახებ. უკრაინის პრეზიდენტის შესაბამისი დავალებით კონკურსი გამოცხადდა. 2005 წლის 1 აგვისტოს კი გამარჯვებულად სცნეს ავტორთა კოლექტივი, – მოქანდაკის, უკრაინის სახალხო მხატვარის, ტ. შევჩენკოს სახელობის უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის – ვ. ჩეპელიკის ხელმძღვანელობით.

ამა წლის 2 მარტს, საქართველოში უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის დროს, ქ. თბილისში საზეიმოდ გაიხსნა, კიევის ქალაქის სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ საჩუქრად გადაცემული, ტარას შევჩენკოს ძეგლი.

з’явився позитивний відгук відомого перекладача Іване Мачабелі про виступи українського публіциста. Це був 1884 рік. Перша спроба перекласти „Витязя у тигровій школі“ українською також належить іншому соратнику і другові Тараса Шевченка Олександрові Навроцько-му. Це був відомий поет і громадський діяч, активіст Києво-Мефодієвського братства, після його розгрому царатом, емігрував до Батумі. Навроцький присвятив справі перекладу українською „Витязя у тигровій шкурі“ останні 3 роки свого життя, але, на жаль, не докінчив цю роботу. Це була не лише спроба вперше наблизити безсмертний твір Руставелі до українців, а й узагалі – один із перших у світі перекладів шедевр Руставелі. Тепер українці вже 70 років мають змогу читати рідною мовою „Витязя у тигровій шкурі“ у перекладі Миколи Бажана. Варто відзначити й те, що одним із авторів перекладу видатної грузинської поеми на мову росіян був інший українець за походженням – поет Пантейле-мон Петренко (народився біля Києва, а в юному віці з родиною переїхав до Грузії).

На Акакія Церетелі Шевченко справив величезне враження (спогади грузинського письменника про цю зустріч вперше були надруковані в газеті „Амієркав-касіа“ („Передкавказзя“) 26 лютого 1911 року. „Визнаю, що вперше дізнався з його (Шевченка. – ред.) слів, як любити Батьківщину і свій народ“, – згадував поет. У фондi рукописів Грузинської Академії наук зберігається рукопис великого Акакія, в якому він так пише про ук-раїнського Кобзаря: „Великих людей народжують великі народи. Вони, окрім своєї нації, належать і іншим на-родам. Тому і нам, грузинам, дозвольте долучитися до великого свята та шанувати пам’ять цього видатного українця“.

Відтак, цілком природнім є спільне рішення Прези-дентів Грузії і України (прийняте під час візиту Михаїла

ძეგლის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ მეუღლესთან – ქალბატონ ეკატერინე ჩუმაჩენკო-იუშჩენკოსთან ერთად და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მეუღლესთან – ქალბატონ სანდრა რულოვსთან ერთად. ვიქტორ იუშჩენკომ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტსა და ხელისუფლებას საქართველოს დედაქალაქში დიდი კობზარის ძეგლის დადგმისათვის. „მსურს მადლობა გადაუხადო ქართველ ხალხს, პრეზიდენტსა და ხელისუფლებას, იმისათვის, რომ თბილისი შეემატა იმ ქალაქთა რიცხვს, სადაც ტარას შევჩენკოს ძეგლია აღმართული“, – თქვა მან. პრეზიდენტის რწმენით, ეს მორიგი დასტურია უკრაინელ და ქართველ ხალხს შორის ღრმა, მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობებისა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინულად ზეპირად წაიკითხა ტარას შევჩენკოს „ანდერძი“.

პრეზიდენტებმა ძეგლის საძირკველში ტარას შევჩენკოს მშობლიური სოფლიდან, – ძორინციდან ჩამოტახილი მიწა ჩაღეს.

2007 წლის 7 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის არაოფიციალური ვიზიტის დროს უკრაინაში, კიევში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი უდიდესი პოეტის – შოთა რუსთაველის ძეგლი და მისივე სახელობის სკვერი. ძეგლის ავტორები არიან – ქართველი მოქანდაკე პაატა გიგაური და არქიტექტორი დავით იაკობაშვილი, მათვე მოაწყვეს სკვერიც ამ ობიექტის ირგვლივ. "უნიკალური", როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, არქიტექტურული ანსამბლისთვის ავტორებს აბსტრაქტული ფორმები შეურჩევიათ. გვეცნობა მონუმენტზე გამოკვეთილი ფრესკა – უფრო სწორედ, ფრესკის ასლი, იერუსალიმის ჭვრის მონასტრიდან. ეს, როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, პოეტის სიცოცხლისდროინდელი პორტრეტია.

ქართველი კაცის გულს კი სულ სხვა სიხარულით ავსებს თავისი პოეტის ჩვეული სახე – სახე, შთაგონებით აღსავსე, ჭან-ღონით სავსე ახალგაზრდა პოეტისა, რომელიც ზის კალმით ხელში და შთაგონებით გამოჰყავს ყოველი ქართველისათვის ევრერიგად მახლობელი და საყვარელი, ბრძნული, ამოდ სასმენი და მომწუსხველი, თითქმის ლოცვით წარმოთქმული სტრიქონები:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“ და განუმეორებელ სამყაროში შევყავართ!

სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და კიევის მერი ლეონიდ ჩერნოშეცკი.

კიევის მერი გულითადად მიესალმა უკრაინისა და ▶

Сакашвілі до Києва у травні 2005 року) про встановлен-ня пам’ятника Тарасу Шевченкові у Тбілісі. Відповідним доручення українського Президента (N 1-1/357 17.05 2005 р.) оголошено конкурс на створення проекту пам’ятника видатному синові української землі. 1 сер-пня 2005 року його переможцем визнали авторський колектив під керівництвом народного художника Ук-раїни, лауреата премії ім. Тараса Шевченка Віктора Чепелика. 2 березня 2005 року під час офіційного візи-ту українського Президента до Грузії у Тбілісі урочисто відкрили переданий Київською держадміністрацією пам’ятник Шевченкові. В урочистостях з нагоди відкрит-тя пам’ятника брали участь Віктор Ющенко з дружиною пані Катериною Чумаченко-Ющенко та Михаїл Саака-швілі з дружиною пані Сандрою Руловс.

Віктор Ющенко висловив вдячність Президентові та керівництву Грузії за встановлення пам’ятника в сто-лиці держави. „Хочу подякувати грузинському народу, Президентові та уряду країни за те, що Тбілісі додалося до переліку міст, де встановлено пам’ятник нашому Кобзареві“, -- сказав Ющенко. За переконанням Прези-дента України, це стало ще одним

свідченням глибоких багатовікових дружніх стосун-ків обох народів. Президент Грузії Михаїл Саакашвілі напам’ять прочитав українською Шевченків „Заповіт“. Президенти заклали у постамент тбіліського пам’ятника грудку землі з Тарасової Батьківщини – села Моринці.

7 червня 2007 року під час неофіційного перебування Михаїла Саакашвілі в столиці України на вулиці Шота Руставелі урочисто відкрили пам’ятник нашого великого поета Шота Руставелі та сквер. Авторами пам’ятника класикові грузинської літератури є скульптор Паата Гігаური та архітектор Давід Іакобашвілі (вони ж обла-штували меморіальний сквер). Для „унікального“ (як відзначив пан Саакашвілі) архітектурного ансамблю автори підібрали абстрактні форми. На монументі бачи-мо викарбувану копію унікальної фрески з грузинського Хрестового монастиря у Єрусалимі, на якій, як вважа-ють історики, зберігся єдиний прижиттєвий портрет Руставелі.

Зовсім іншою радістю переповнюється грузинська душа, коли бачить більш звичний образ свого поета – молоде обличчя поета, який пером зосереджено виводить кожен рядок. Ці рядки - близькі і знайомі буд-якому із грузинів з юних років, ніби молитва: „Він, хто створив небеса силою великою, Він, Хто людям дав дух безтілесний“. Ці слова геніального поета проводять нас у незнаний світ. ▶

საქართველოს პრეზიდენტებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ იგი პირადად იყო შეპირებული საქართველოს პრეზიდენტს ამ ძეგლის დადგმას კიევის წმიდა მიწაზე, და ყოველი ღონე იხმარა, მიცემული სიტყვა არ გაეტეხა – ყველაფერი სწრაფად და ღირსეულად გაკეთებულიყო, რომ მისი გრძნობები საქართველოს მიმართ საოცრად თბილია და გულწრფელი. „ამ ძეგლის დადგმით ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობების განსამტკიცებლად“, – თქვა მან და იმედი გამოთქვა, რომ ეს სკვერი შეუყვარდება კიეველებს, ხოლო ქართველი ხალხისათვის კი იგი პატარა საქართველოდ იქცევა.

საქართველოს პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა უკრაინულად დაიწყო, ხაზი გაუსვა ამ ძეგლის გახსნის ისტორიულობას, მადლობა მიახსენა ყველას, ვინც აგებდა, ქმნიდა ამ ძეგლს და ახორციელებდა ამ იდეას. აღნიშნა, რომ ეს არაა მარტო ძმობისა და მეგობრობის შესტი, არამედ ჩვენი ხალხების კავშირია მომავალთან და საერთო იმედთან. შემდეგ კი ქართულად განაგრძო:

„მე მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო ის ისტორიული ფაქტი, რომელიც დღეს აქ ხდება. კიევის ყველაზე ცენტრალურ ადგილას, ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის, ჩემთვის კი, ნამდვილად, მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის ცენტრალურ ადგილას იხსნება უდიდესი პოეტის უნიკალური ძეგლი. ეს, ნამდვილად, ისტორიული მოვლენაა.

ჩვენ ამას წინათ თბილისის ცენტრში, უნივერსიტეტის წინ გავხსენით დიდი კოზმარის – ტარას შევჩენკოს ძეგლი. ახლა – ლესია უკრაინკას ძეგლს ვამზადებთ გასახსნელად თელავში, კახეთში, საქართველოს ულამაზეს კუთხეში.

სიყვარული და კეთილგანწყობილება ჩვენ ხალხებს შორის იმდენად ურთიერთდაკავშირებულია, რომ ძნელია გაარჩიო, სად მთავრდება ქართული პატრიოტიზმი და იწყება უკრაინული და პირიქით.

ჩვენი ხალხის მეგობრობა გაცილებით მეტია, ვიდრე მეგობრობა ორ პრეზიდენტს შორის. არსებობს, როცა კაცი პატიუებს კაცს, პრეზიდენტი პპატიუებს პრეზიდენტს და, როცა მეგობრობა დიად ძეგლებში განსხეულოდება სამარადისოდ.ეს ნიშნავს, რომ ერი პპატიუებს ერს, რომ ერს უყვარს ერი და ეს, დიახაც რომ სწორია, იმიტომ, რომ არც იუშჩენკო და არც სააკაშვილი უკვდავნი არ არიან, არცერთი ჩვენგანი არაა უკვდავი, ყველა წარმავალნი ვართ, თაობებს ცვლიან თაობები, მაგრამ ეს სულიერი კავშირი, ეს ძეგლი, გამოკვეთილი უმტკიცესი უკრაინული გრანიტისაგან, სამარადისოდ დარჩება და ჩვენ, ყველამ ამ ძეგლის წინ უნდა დავიფიცოთ, რომ მუდამ გულისთ ვატარებთ შოთა რუსთაველის სიტყვებს:



З промовою виступили Михаїл Саакашвілі, Віктор Ющенко та мер Києва Леонід Черновецький. Київський градоначальник сердечно привітав Президентів і чи-сельних присутніх і відзначив, що особисто обіцяв грузинському Президентові швидко спорудити достойний монумент на цій святій землі і докласти зусиль, щоби дотримати слова. Пан Черновецький відзначив, що його почуття до грузинського народу є особливо теплими і щирими. „Спорудивши цей пам’ятник, ми зробили ще один крок для зміцнення дружніх стосунків обидвох держав”, – підкреслив мер української столиці і висловив надію, що сквер стане улюбленим місцем відпочинку киян, а для представників грузинського народу цей невеликий парк стане „маленькою Грузією” в центрі столиці України.

Михаїл Саакашвілі розпочав свій виступ українською. Він відзначив винятковість історичного моменту і подякував усім, хто творив і втілював у життя проект пам’ятника. Грузинський Президент підкреслив, що це не тільки жест братерства та дружби, а вияв зв’язку обох народів з майбутнім та спільною ідеєю. Далі пан Саакашвілі продовжив рідною мовою: „Я хочу особливо відзначити значимість події, яка зараз відбувається у найгарнішому куточку в самому в серці Києва – одній з найкращих столиць Європи. Тут відкривається унікальний пам’ятник видатному поетові. Це справді історична мить. Нещодавно у центрі Тбілісі, навпроти університету, ми відкрили пам’ятник великому Кобзареві Тарасу Шевченку. Зараз ми готуємося до відкриття пам’ятника Лесі Українці у місті Телаві, у Кахетії, мальовничому куточку Грузії. Любов та доброзичливість між нашими народами настільки взаємопов’язані, що складно відділити, де закінчується грузинський патріотизм і починається

„ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია”.

მე მინდა, ყველას მივულოცო ეს ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი დღე ჩვენი ურთიერთობებისა და ჩვენი ხალხების ისტორიაში”, – დაასრულა მან.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ თავის გამოსვლაში სიაძვნებით გაიხსენა დიდი უკრაინელის – ტარას შევჩენკოს ძეგლის გახსნა თბილისში და თქვა, რომ ამაღელვებელი იყო სამშობლოს მონატრებული, საქართველოს უკრაინელი საზოგადოების ხილვა ამ ზეიმზე ქართველების გვერდით. აღნიშნა, რომ სიტყვას „პამიატნიკ” (ძეგლი), აქვს ერთი ფესვი და ამ ღონისძიების მნიშვნელობაცა და დანიშნულებაც ამ სიტყვაში მდგომარეობს, დღეს აქ ყოვლისმომცველიაო სიტყვა – „პამიატი”, ხსოვნა, – თქვა მან და განაგრძო:

„ქართველი გენიის ძეგლის გახსნით, ჩვენ დღეს დიდ საქმეს ვაკეთებთ. დიახ, ჩვენი ცხოვრება მართლაც არაა მარადიული, მაგრამ ამ ცხოვრებაში არსებობენ ნიშნები, რომლებიც საჭიროა თაობიდან თაობას გადავცეთ და ამიტომ ჩვენ დღეს აქ ვსაუბრობთ ორი ერის ნათესაობის შესახებ, ნათესაობისა, ისტორიის საშუალებით, გამოჩენილ პიროვნებათა ბედის საშუალებით. ამ ნათესაობითაა გამსჭვალული მთელი რიგი მოვლენებისა და დღეს ჩვენ აქ ვსაუბრობთ, სახეების საშუალებით, ორი ერის ისტორიული ხსოვნის შესახებ, ვლაპარაკობ რა, ჩვენი ისტორიული ნათესაობის შესახებ, მინდა შეგახსენოთ შევჩენკოს სიტყვები: „რა ბევრი რამაა საერთო ამ ხალხსა და ჩვენს ხალხს შორის”-ო. ასე ამბობდა იგი ქართველი ხალხის შესახებ. და დღეს ჩვენ ვგრძნობთ ამ ნათესაობას, ნათესაობას, რომელსაც ჩვენი ხალხის ისტორიაში, უკვდავ სახეებში, უკვდავ თხზულებებში აქვს ფესვები გადგმული. მხარიმხარ დევანან „ამბავი იგორის ლაშქრობისა” და „გეფხისტყაოსანი”, გურამიშვილი და სკოვოროდა, შევჩენკო და წერეთელი, ლესია უკრაინკა, ფრანკო და ილია ჭავჭავაძე. ესეც ჩვენი ისტორიაა. ეს ძეგლიც ჩვენს ისტორიას ეკუთვნის.”

„გაუმარტოს საქართველოს! გაუმარტოს უკრაინას!” – ქართულად დაასრულა მან თავისი გამოსვლა. ძეგლის გახსნის შემდეგ გაიმართა კონცერტი ანსამბლ რუსთავის მონაწილეობით, რომელსაც აწზორ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს. საქართველოს სახალხო არტისტმა გურამ საღარაძემ, აღნიშნული ანსამბლის თანხლებით, ჩვეული ოსტატობით წაიკითხა „ანდერძი ავთანდილისა”.

დარწმუნებული ვართ, რომ შოთა რუსთაველის ეს სკვერი იქნება სწორედ საქართველოს მონატრებულ ქართველთა სულისმოსათქმელი, სულისმოსაბრუნებელი ადგილი... ♦

український і навпаки. Дружба між Грузією та Україною є чимось більшим, ніж просто дружба президентів двох країн. Ми відкриваємо пам’ятники нашим діячам, за-прошуємо один одного в гості, український і грузинський народ з любов’ю ставляться один до одного. Ющенко і Саакашвілі не вічні, але цей духовний зв’язок залишить-ся у віках. І ми маємо поклястися перед пам’ятником, спорудженим з найтвердішого українського граніту, що завжди в серці будемо носити слова Руставелі „Хто собі друзів не шукає, той собі самому – ворог”. Я хочу при-вітати всіх присутніх з цим дуже визначним історичним днем в історії обох країн”, – підкреслив Президент Грузії.

Віктор Ющенко у своєму виступі згадав приємні миті під час відкриття пам’ятника видатному українцеві Шевченкові у Тбілісі. Віктор Андрійович пригадав, наскільки був зворушений зустрічю з представниками українсь-кої громади Грузії, які нудьгують за рідною землею. Пан Ющенко відзначив, що в слові „пам’ятник” основою є слово „пам’ять”. “Коли ми говоримо про взаємини двох народів, то хочу підкреслити, що вони пов’язані історич-ними подіями. Відкриваючи пам’ятник грузинському генієві, ми робимо велику справу. Справді, наші життя не є вічними, але в житті існують знакові події, які треба передавати від покоління до покоління. Тому ми сьогод-ні говоримо про історичну спорідненість обох народів, віддаючи шану видатним особам. Така спорідненість пронизує багато явищ, коли ми сьогодні говоримо про історію наших народів, то хочу нагадати Шевченкові слова: „Як багато спільного між цим і нашим народом”. Так Він казав про грузинів. Сьогодні ми відчуваємо цю спорідненість, яка пустила корені в історії наших народів у безсмертних обличчях, безсмертних творах. Пліч-о-пліч стоять „Слово о полку Ігореві” та „Витязь у тигровій шкурі”, Гурамішвілі та Сковорода, Шевченко та Церетелі, Леся Українка, Франко та Ілля Чавчавадзе. Це наша історія і ці пам’ятники належать нашій історії. Хай живе Грузія! Хай живе Україна!”, – сказав український Президент. Останні слова він виголосив грузинською. Після церемонії відкриття пам’ятника почався святко-вий концерт за участю тбіліського ансамблю „Руставі” під керівництвом народного артиста Грузії Анзора Ер-комаішвілі. Народний артист Грузії Гурам Сагарадзе у супроводі хористів з „Руставі” з притаманною йому май-стерністю прочитав фрагмент з „Витязя у тигровій шкурі” – „Заповіт Автанділа”.

Ми переконані, що цей сквер біля монументу Руста-велі стане місцем, де можна відвести душу грузинам, що сумують за рідною Сакартвело... ♦



უკრაინის, საფრანგეთისა და თურქეთის ღიასპორის წარმომადგენლები
Представники грузинської діаспори з України, Франції та Туреччини

ქართული ღიასპორის დღე საქართველოში

ბესიკ შამუგია

მშობლიური ცა და მიწა, მთა-ბარი... საქართველოში მზეც სხვაგვარად ანათებს და მდინარეც სხვაგვარად ღუღღუნებს. ეს ჩვენი დედასამშობლოა, სადაც დაგვიბადეთ, გაგიზარდეთ და სადაც ყოველ ჭეშმარიტ ქართველს სურს სასუფეველი პპოვოს. აქ ხომ ჩიტებიც მშობლიურად ვალობენ, წვიმის შხაპუნიც გულის ელაციცება. გაზაფხულიც მშობლიურია, თითოეული ყლორტი – ქართული. სხვაგან ასეთ გაზაფხულს ვერ იხილავთ. თუმცა ბუნება ყველგან ბუნებაა, მაგრამ, შორეული და ცივი, გულის რომ არ ეკარება. სხვაგან, სიხარულიცა და ბედნიერებაც არაა სრულყოფილი. რადგან ის ერთადერთი შორსაა შენგან, მშობლიური სიოც არ გეფერება. გვერდით ის ადამიანები არ გყვანან, ვისაც უნდა გაუზიარო შენი სიხარული, ეს ის ხალხია, ვისაც ესიზმრები და გესიზმრება, რაგინდ განცხრობით ცხოვრობდე სხვა ქვეყანაში, მაინც მშობლიური მიწა გენატრება. ნოსტალგია არ გასვენებს და მოზღვაგებული დარდისა და უგუნებობის ჟამს ბევრჯერ გინატრია, ერთი წამით მაინც ჩამასუთნებო მშობლიური პაერი, რომელსაც მხოლოდ იქ აქვს განუყოფელი ნელსუნელება.

День грузинської діаспори на Батьківщині

Бесік Шамугія

Рідне небо, земля і гори... У Грузії навіть сонце сяє по-іншому. І річка жебонить особливо. Тому що ця земля є нашою матір'ю, місцем, де ми народилися, виросли і де кожен істинний грузин волів би спочити. Тут навіть пташки співають рідною мовою, і звичайний шум дощу особливо приємно тішить вухо. Тут кожна весна є рідною, кожен паросток розпускається по-особливому, по-грузинськи. А чи деінде весна могла би бути такою прекрасною? Хоча десь, можливо, все ніби таке ж, але водночас є далеким, холодним і за жодних обставин не западає в душу. На чужині і щастя, і радість не повні, бо гори Батьківщини далекі від тебе та й ласкавий вітерець не може ніжити тебе. На чужій землі немає поруч людей, з ким завжди можна ділитися радістю, людей, яким снимося ми і які приходять у наші сни. Як би добре не жилося за межами Грузії, завжди будеш сумувати за рідною землею, бо не дає спокою почуття ностальгії. Тож коли душа щемить неспокоєм, ми мріємо бодай на мить ковтнути рідного повітря, яке тільки в Грузії має такий неповторний смак.

Рішенням Президента Грузії Міхаїла Саакашвілі 2007 рік оголошено роком Грузинської діаспори, а 27 травня – Днем Грузинської діаспори. Відтак, під егідою Міністерства у справах біженців і розселення Грузії відбувся представницький міжнародний форум „Грузія та діаспора”.

Кінець травня цього року був особливо зворушливим для грузинської діаспори. Очевидно навіть природа рідного краю відчула прибуття своїх дітей з далечині. 140 грузинів, які представляли діаспори з 40 країн, особливо відчували тепло і ніжність тбіліської весни 2007-го. Незабутніми залишаться для наших краян з різних куточків планети кілька днів, проведених у Тбілісі, які подарувало діаспорянам керівництво рідної держави. У „місті теплих джерел” (так ще називають

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის გადაწყვეტილებით, 2007 წელი ღიასპორებთან ურთიერთობის წლადა, ხოლო 27 მაისი – ქართული ღიასპორის დღედ გამოცხადდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თაოსნობით, გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „საქართველო და ღიასპორა”.

ამაღელვებელი იყო მაისის ბოლო დღეები ქართული ღიასპორის წარმომადგენელთათვის. თითქოს დედაბუნებამაც იგრძნოო ცხრამთას გადახვეწილი შეილების დაბრუნება. ირვგლივ ყველაფერი ბრწყინავდა და მშობლიური მხარის სითბოს აგრძნობინებდა 40 ქვეყნიდან ჩამოსული 140 ქართველს. დაუვინყარი იქნება თბილისში გატარებული დღეები, რომელიც ქართული ღიასპორის წარმომადგენლებს აჩოქა საქართველოს ხელისუფლებამ. სამშობლოს, ძირითადად, უცხოეთში მოღვაწე ქართული სათვისტომოების ხელმძღვანელები სტუმრობდნენ. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლოუმში მონაწილეობა, სხვადასხვა სამხედრო შენაერთები, ამაყად მოაბიჯებდნენ რუსთაველის პრისპექტზე. ყველა იქ დამსწრე ქართველს სიამაყით ეცხებოდა გული.

საზეიმო აღლოუმის შემდეგ, ქართული ღიასპორების წარმომადგენლებს, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა – ილია ნასიძემ უმასპინძლა და ტაძარი დაათვალიერებინა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ ქართველებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი მიესალმა. სიტყვით გამოვიდნენ სტუმრებიც, ისინი განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათი ვიზიტი სამშობლოში დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს დაემთხვა. მოგვიანებით, ქართული ღიასპორების წარმომადგენლები საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ მიიღო, დალოცა და თითოეულ მათგანს საჩუქრები გადასცა.

„საქართველო მასპინძლობს უცხოეთში გაბნეულ თავის შვილებს, დღევანდელი შეხვედრა იმედით გვაესებს, რომ საზღვარგარეთ დარჩენილი ჩვენი მოღვბა, ჩვენი ფესვი არ დაიკარგება, რომ სამშობლოსა და ქართული კულტურის სიყვარული მომავალ თაობაშიც გაგრძელდება და იქნება ისევე ძლიერი, როგორიც თქვენშია. უნდა იკადღეთ, რომ ადრე თუ გვიან, სამშობლოში უნდა დაბრუნდეთ, რადგან მხოლოდ აქ შეძლებთ თქვენი შესაძლებლობების სრულიად გამოვლენას. ვერანაირი კეთილდღეობა ვერ გადასწონის იმ ბედნიერებას, რასაც ღვთისა და სამშობლოს მსახურება ჰქვია. სამშობლო გელოდებათ!” – ასე დალოცა თითოეული მათგანი პატრიარქმა.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სტუმრებს ღიასპორასთან ურთიერთობის საკითხებში ▶



უკრაინის დელეგაცია საქართველოს პარლამენტთან
Делегация України біля парламенту Грузії

засновану славним царем Вахтангом Горгасалі у V столітті теперішню столицю Грузії) гостювали керівники грузинських національних товариств, громадські діячі та науковці. Ці заходи були приурочені до Дня Грузинської діаспори і проходили з ініціативи Міністерства у справах біженців та розселення Грузії.

Представники грузинських діаспор з величезною гордістю за рідну країну спостерігали за військовим парадом з нагоди Дня Незалежності 26 травня, під час якого військовики Грузії демонстрували свій вишкіл на центральній магістралі Тбілісі – проспекті Руставелі. Після урочистої ходи військовиків представників грузинської діаспори приймав настоятель столичного собору Святої Трійці отець Ілля Насідзе, він ознайомив земляків з храмом. Згодом діаспорян привітав міністр у справах біженців та розселення Грузії Георгій Хевіашвілі. Представники грузинських товариств зарубіжжя висловили задоволення з приводу, що їхній приїзд збігся з Днем Незалежності Батьківщини. Потому представників діаспори вітав Католикос-Патріарх всея Грузії Ілля II. Він змовив молитву за учасників Днів Грузинської діаспори і вручив кожному з них подарунки.

„Грузія приймає своїх синів, розсіяних світами. Сьогоднішня зустріч надихає нас надією, що наші співвітчизники за кордоном не втратять свого коріння, що любов до рідної землі та любов до грузинської культури триватиме і в наступних поколіннях та буде такою ж сильною, як оце у вас. Маєте знати, що рано чи пізно мусите повернути на Батьківщину, бо тільки тут ви можете проявити всі ваші можливості і жоден добробут не переважить те щастя, що називається служити Батьківщині та Богові. Батьківщина чекає на вас!” – таким напутнім словом надихнув Патріарх Ілля II представників грузинських діаспор.

Міністр Хевіашвілі представив учасникам Форуму проект впровадження державної політики співпраці з грузинськими товариствами за кордоном – „Державну ▶

სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების – „საზოგადოებრივ მცხოვრებელ თანამემამულეებთან ურთიერთობის სახელმწიფო სტრატეგია“ პროექტი წარუდგინა. გავაუცნეს საზოგადოებრივ მცხოვრებელ თანამემამულეებთან ურთიერთობათა საქართველოს ცენტრის მიერ, ქართული ღია სპორისათვის სპეციალურად შექმნილი ინტერნეტ-საიტი (www.diaspora.ge).

ფორუმის მიმდინარეობისას მოეწყო ქართული ღიაპორის ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენა – „ჩვენი ღიაპორა“. ნაჩვენები იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში მცხოვრებ ქართველთა ღიაპორის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ვიდეოკლასიკი.

ფიქრების ფარგლებში გაიმართა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მიერ გამოცემული ჟურნალის – „ფიროსმანის“ პირველი ნომრის პრეზენტაცია. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილმა გავეცნო ჟურნალ „ფიროსმანის“ მთავარი რედაქტორი ფაბრეტინ ჩილოღლუ, გამომცემელი შენაოლ თაბანი და რედაქტორი ერდაო ქუჩუკი. „ფიროსმანის“ პრეზენტაციაზე, ცნობილმა მომღერალმა ბაიარ შაჰინმა შეასრულა თავისი სიმღერა ფაბრეტინ ჩილოღლუს ლექსზე.

ფეოროუმის მონაწილეებს მიმართა საქართველოს
ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი
ხევიაშვილმა, რომელმაც დიასპორის საერთაშორისო
ფეოროუმის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. მან
მოწვეულ სტუმრებს ქვეყნის აღმშენებლობის
პროცესებში თანამშრომლობა შესთავაზა და მომავალში
განსახორციელებელ პროგრამებსაც შეეხო: “ჩვენი
მიზანია, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს სწორი
წარმოდგენა ჰქონდეთ საქართველოში მიმდინარე
პროცესებზე. ქართული დიასპორისკენ რეალური ნაბიჯი
დღეს გადაიდგა. ამ ურთიერთობების გაფართოებას
მაქსიმალურად შევეცდებით. საქართველოს ხელისუფლება
უახლოეს პერიოდში დაამტკიცებს სათანადო პროექტს და,
სამისოდ, ბიუჯეტიდან შესაბამის თანხებს გამოყოფს. ჩვენი
სამინისტროს გარდა, ამ პროგრამის განხორციელებაში
აქტიურად ჩაერთვებიან სავარეო საქმეთა, განათლებისა და
მეცნიერების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
სამინისტროები.

ამ ეტაპზე საერთოვლო განვითარების გზაზეა. ვიძლეოვნებთ, რომ ამ პროცესებში დიასპორის წარმომადგენლებიც აქტიურად ჩაერთვებიან. შესაბამის დახმარებას გავუწევთ მათ სამშობლოსთან კავშირუთოფრთობების შენარჩუნებასა და გაღრმავებაში. შხად ვართ, მაქსიმალურად შევეწყნოთ ხელი ადგილობრივი ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო, ქართველოლოგიური ცენტრების, „ქართული სახლების“ ჩამოყალიბებაში. ასევე, ყურადღებას

стратегію співпраці зі співвітчизниками, які живуть за межами Грузії". У своєму виступі міністр підкреслив значимість Форуму. Він запропонував діаспорянам співпрацювати заради розбудови рідної держави.

„Наша мета полягає у тому, щоби грузини, які живуть за кордоном, мали правильне уявлення про процеси, які відбуваються на Батьківщині. Сьогодні ми зробили реальний крок назустріч грузинській діаспорі. Ми намагатимемося максимально розширити ці стосунки. Керівництво держави в найближчому майбутньому затвердить відповідний проект і виділить з бюджету необхідні кошти. Окрім нашого міністерства у втіленні



програми активно братимуть участь міністерства закордонних справ, культури, охорони пам'яток та спорту, освіти та науки. Сподіваємося, що до цього процесу долучаться представники діаспор. Ми надаватимемо їм відповідну допомогу, щоби зв'язок грузинів з Батьківщиною зберігався та поглиблювався. Ми готові максимально сприяти грузинським культурно-просвітницьким організаціям у створенні „Грузинських Домів” у різних куточках світу. Також звертатимемо увагу на вивчення грузинської мови, традицій та збереження культурних цінностей. Для поглиблення стосунків між діаспорами різних країн буде сформовано об'єднуючі економічні, торгові, інформаційні та культурні взаємозв'язки. Це є метою нашої зустрічі. Спільними зусиллями ми це втілимо в життя”, – наголосив пан міністр.

Під час Форуму проводилася фотовиставка „Наша діаспора”. На ній були представлені світлини, які ілюструють діяльність грузинських національних товариств. У рамках виставки демонстрували відеоколаж, який розповів про сьогоднішню представників грузинських діаспор у світі. Також відбулася презентація інтернет-сторінки для діаспорян www.diaspora.ge, створеної урядовим Центром співпраці зі співвітчизниками за кордоном.



გავამახვილებთ, ქართული ენის სწავლების, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნებაზე. სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ დიასპორათა შორის ჩამოყალიბდება ეკონომიკური, საეჭრო, სანიფორმაციო და კულტურული ურთიერთკავშირები. ეს არის ჩვენი შეკრების მიზნობაცა და მიზანაც. იმედია, საერთო ძალისხმევით ყველაფერი გამოვაგვივა. – აღნიშნა მინისტრმა.

ქართველი დიასპორის რამდენიმე წარმომადგენელი სამშობლოში პირველად ჩამოვიდა. სტუმრებს შორის გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ნიკო ჟორდანიას შვილი რეიკე ჟორდანიძე.

„მთელი ცხოვრება საქართველოში დაბრუნებაზე
ვოცნებობდი. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ოცნება
სინამდვილედ მიქცია. რამდენიმე წლის წინ ამის
წარმოდგენაც კი არ შემეძლო. გამაღობთ ამ შესანიშნავი
მასპინძლობისთვის. ამ წუთებში მხოლოდ იმაზე მწყიდბა
გული, რომ ჩემს ხალხს მშობლიურ ენაზე ვერ ვესაუბრები.
პირველად დავესწარი საქართველოს დამოუკიდებლობის
დღესასწაულს და საოცარი განცდა დამეუფლა. ნებისმიერი
ქართველისთვის, სადაც არ უნდა იყოს იგი, ეს დღე
სულოიერი ზემიბა.“ – აღნიშნა რეჟბე ჟორდანიბამ.

ფორუმს დაესწრო და თანამემამულეებს მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტმა დისპარას საქართველოს სიმდიდრე უწოდა. მიხეილ სააკაშვილმა თანამემამულეებს საქართველოს აღმშენებლობაში აქტიური ჩართვისაკენ მოუწოდა: «ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ გვანაცხადეთ, რომ ჩვენ საქართველოს დავიბრუნებთ. ვგულისხმობდით არა მარტო ტერიტორიების დაბრუნებას, არამედ ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნებასაც. ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში საქართველო ნიჭიერმა საზოგადო მოღვაწეებმა დატოვეს. ქართველებმა უცხო ქვეყნებშიც წარმატებით გააკეთეს ეს. შედეგებაც არ დააყოვნა, მათ ახალი სიმაღლეების დამყარეს. ▶

У рамках Форуму відбулася презентація першого номеру журналу „Піросмані”, виданого грузинами з Туреччини. Заступник міністра у справах біженців і розселення Грузії Тамар Махарашвілі представила головного редактора журналу Пахреттіна Чіоглу, видавця часопису Шенола Табані та редактора видання Ердала Кучука. На презентації „Піросмані” відомий співак Байар Шахін виконав власну пісню на слова пана Чіоглу.

Варто відзначити, що кілька представників грузинської діаспори вперше відвідали Батьківщину. Серед таких гостей Форуму був син першого керівника Грузинської демократичної республіки (1917-1921 рр.) Ноє Жорданія – Реджеб Жорданія. «Я все життя жадав повернутися на Батьківщину і грузинська влада допомогла мені втілити цю мрію. А ще кілька років тому я на таке не міг навіть сподіватися. Дякую за чудовий прийом. У цю мить я лише шкодую, що не можу спілкуватися рідною мовою зі своїм народом. Я вперше на святі Незалежності Грузії і мене переповнює почуття неймовірної гордості. Цей день для кожного грузина, де б він не жив, є духовним святом», – відзначив Реджеб Жорданія.

Учасників Форуму привітав Президент Грузії Міхаїл Саакашвілі. Він назвав діаспору „скарбом Грузії” і закликів співвітчизників активніше включатися у процес відродження Вітчизни. „Ще чотири роки тому ми заявили про об’єднання Грузії. Ми мали на увазі не лише повернення наших територій, а й повернення співвітчизників на Батьківщину. За останніх 12 років Грузію залишило дуже багато талановитих, активних представників нашого суспільства. Грузини і на чужині успішно торують свої життєві шляхи і результат не забарився – вони почали підкорювати нові вершини. Я прийшов до вас, щоб висловити свою подяку за збереження грузинського духу. Знаю, що сьогоднішня ▶

მინდა, დიდი მადლობა გითხრათ იმისთვის, რომ ასე ინარჩუნებთ ქართულ სულისკეთებას. ვიცი, ღღევანდელი შეხვედრა დიდ ემოციებთან არის დაკავშირებული. მეც ვყოფილვარ ქვეყნიდან გადახვეწილი. საქართველოს შესახებ ინფორმაციასაც ვერ ვიღებდი, იშხანად, ჩვენი ქვეყანა არავის აინტერესებდა. დღეს - მთელი მსოფლიო იცნობს და ანგარიშს უწევს. რა წარმატებასაც არ უნდა მივაღწიოთ, სამშობლოს ვერსად გავუქცევით. სამშობლოა მარადიული ამქვეყნად, სხვა - ყველაფერი წარმატებაა”.

ქართული დიასპორის წარმომადგენლების სახელით მიხეილ სააკაშვილს ფერეიდნელი ქართველი საიდ მულოანი მიესალმა. „ქართული ცნობიერება ოთხი საუკუნის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში შევინარჩუნეთ, – აღნიშნა მან, – ამით, ჩემმა წინაპრებმა შეუძლებელი შეძლეს. ბედნიერი ვიყავი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ფერეიდანში ჩამობრძანდა. მე ვარ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელიც ნანატრი ოცნების ახდენას მოესწრო. ეს ჩვენი ისტორიის ოქროს ფურცლებია. ყველანი ძალიან მიყვარხართ, თავს უფლებას ვაძლევ, ფერეიდნულად დაგემშვიდობოთ – „ღმერთს ებარებოდეთ“... ფორუმის მონაწილეებს უმსაბინძოეს, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ებრაულმა სათემო სახლმა. სწრაფად ჩაიარა სამმა დაუფიქარმა დღემ. დედასამშობლომ თავისი შვილები უცხოეთში გააცილა, მაგრამ, თითოეულ მათგანს იმედის ნაპერწკალი ჩაესახა და დარწმუნდა, რომ ქვეყანას დასაკარგავი შვილები არა ჰყავს. როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, ბატონმა გიორგი ხვეიაშვილმა, კიევში ყოფნისას, ბრძანა – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწოდება ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების თაობაზე იმასაც ნიშნავს, რომ უცხო ქვეყანაშიდაც შეიძლება საქართველოასთვის გარჯა და ჩვენც ყველანიარად ვეცდებით, ჩვენი საქმიანობა საქართველოს კეთილდღეობას წაადგეს. ♦

зустріч пов’язана з багатьма емоціями. І мені довелося бути відірваним від рідної землі. Я не міг навіть отримувати інформацію про Батьківщину, бо на той час наша країна нікого не цікавила. Сьогодні про нас знає цілий світ і рахується з нами. Яких би успіхів ми не досягали, ми не роздільні з нашою Вітчизною. Батьківщина – вічна, все інше минуще”, – сказав Президент Грузії.

Від представників діаспори Міхаїла Саакашвілі вітав представник грузинської громади з долини Ферейдан (територія Ірану) Саїд Муліані: „Упродовж чотирьох століть ми зберегли грузинську свідомість у найважчих умовах, – відзначив він. – Таким чином, наші предки зробили неможливе. Я був найщасливішим у світі, коли Президент Саакашвілі прибув у Ферейдан. Я щасливий, що є представником покоління грузинів Ферейдану, яке дочекалося цієї мрії. Це золоті сторінки нашої історії. Я люблю вас усіх і дозволю собі закінчити виступ так, як прощаються грузини у наших краях: „Доручаю вас Богові”.

Учасників Форуму гостинно приймали в Тбіліському державному університеті та в Єврейському общинному домі столиці Грузії.

Дуже швидко пролетіли три незабутні дні. Матір-Батьківщина відпровадила свої дітей за кордон, але в кожному з них запалала іскорка надії і впевненості, що для Батьківщини немає дітей, яких можна втрачати. Як відзначав міністр Хевіашвілі під час свого візиту до столиці України, „заклик Міхаїла Саакашвілі до грузинських емігрантів про повернення на Батьківщину означає також і те, що й на чужині треба більше робити для Грузії”. І ми, представники грузинської діаспори, зробимо все, щоб наша діяльність щонайбільше посприяла добробуту рідного краю. ♦

საქართველოს საელჩო ქართველების სამსახურშია



Грузинське посольство - на службі грузинам

ინტერვიუ საქართველოს საგანგებო და
სრულუფლებიან ელჩთან უკრაინაში
ბატონ გრიგოლ ქათამაძესთან

Інтерв'ю з Надзвичайним та Повноважним
послом Грузії в Україні
паном Гріголом Катамадзе

Зნობილია, რომ თქვენ კიევის საერთაშორისო ინსტიტუტი დაამთავრეთ. რამ განაპირობა სასწავლებლად თქვენი კიევში ჩამოსვლა და ხომ არ გაიხსენებდით სტუდენტობის წლებს? სხვათაშორის, უკრაინელი ჟურნალისტებიც ხშირად იფიქვს მეკითხებიან ხოლმე. სიმაღლე გითხრათ, ჭერ კიდევ სკოლაში ვოცნებობდი ოურისტი გამოვსულიყავი. სკოლა 1979 წელს დაგამთავრე. მაშინ, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამ პროფილის ორი ინსტიტუტი იყო: მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მოხვედრა, და კიევისა. სამწუხაროდ, მხოლოდ მერე წელს ჩავერიცხე. პირველი გამოცდის შემდეგ კონკურსი სამმა ქართველმა გავაფრძელეოთ, ადგილი კი ორი იყო. საბოლოოდ სტუდენტები გაუხდით – მე და დათო შიხაშვილი. ახლა, რაც შეეხება მეგობრებს. სხვა სტუდენტებთან განსხვავებით, მე არამარტო ჩემი კურსის სტუდენტებთან მქონდა ურთიერთობა, არამედ სხვა კურსის სტუდენტებთანაც. ეს იმით იყო განპირობებული, რომ 1981-1985 წლებში სტუდენტთა პროფკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობრები დღეს უკრაინულ პოლიტიკაში, ბიზნესში და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არიან: პეტრო პოროშენკო „ჩვენუკრაინელი“, სერგეი ტერიოხინი, ოულია ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენელი, ლეონიდ კოვარა, რევიონთა პარტიას წარმომადგენს, იგორ ხარჩენკო – უკრაინის ელჩია დიდ ბრიტანეთში. სხვათაშორის, პეტრო პოროშენკო, სატრანსპორტო კორპორაციის მფლობელია და, როცა საქართველოში კომუნალური და სატრანსპორტო აღმშენებლობა დაიწყო, ▶

Відомо, що ви закінчили Київський інститут між-народних відносин. Чому ви приїхали до Києва на навчання і які ви маєте спогади про студент-ські роки? Цікаво, що й українські журналісти часто задають мені такі питання. Ще у школі я мріяв стати юристом міжнародного права. Школу закінчив у 1979 році. Тоді в колишньому Союзі було всього два інститути відповідного профілю: Московський інститут між-народних відносин, вступити в який було практично неможливо, і Київський. На жаль, я вступив лише з другої спроби. Хоча й тоді був дуже великий конкурс. Після першого вступного іспиту конкурс разом зі мною продовжили ще двоє грузинів, а вступити до інституту могли лише двоє. Врешті-решт студентами стали я і Дато Шіхашвілі. З приводу друзів, то на відміну від інших спудеїв, я мав стосунки не тільки зі студентами свого курсу – з 1981 по 1985 роки я був керівником студентського профкому. Мої студентські друзі сьогодні працюють в політиці, бізнесі та у виконавчій владі. Багато з них є представниками різних політичних сил. Петро Порошенко – „нашоукраїнець”, Сергій Терьохін – представник Блоку Юлії Тимошенко, Леонід Кожара – у Партії Регіонів, Ігор Харченко - посол України у Великій Британії. Між іншим, Петро Порошенко є власником транспортної корпорації, і коли в Грузії почалася розбудова транспортної і комунальної сфери, він був ▶

ძვირთვასო მეგობრებო!

კიევის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას:

- ქართული საკვირაო სკოლაში (უმცროსი და საშუალო ასაკის ბავშვები);

- ქართული ენის კურსებზე (უფროსი ჯგუფი. სწავლის ვადა – 1 წელი);

- ქართული ცეკვის წრეზე;

სწავლა დაიწყება 8 სექტემბერს.

მისამართი: ქ. კიევი, შულიაევკის ქუჩა 10/12

+38067-449-10-96

info@iberieli.org

Шановні друзі!

Грузинський культурно-просвітницький центр у Києві оголошує набір бажаючих:

- в грузинську недільну школу (діти молодшого та середнього віку);

- на курси грузинської мови (для дорослих. термін навчання — 1 рік);

- гурток грузинського танцю.

Початок занять у 8-го вересня

Адрес: м. Київ, вул. Шулявська, 10/12

პირველი კაცი იყო, ვინც რამდენიმე ახალი სამარშრუტო ავტობუსი აჩუქა საქართველოს. ისე, ვცდილობ, მეგობრული კავშირები ჩემს საქმანობაში არ გამოვიყენო.

როგორ შეიფასებდით ქართულ-უკრაინული ურთიერთიერთობების განვითარებას თქვენი ელოზობის პერიოდში?

სიმართლე გითხრათ, ასეთი ანალიზი არ გამიკეთებია.

უნდა აღინიშნას, ჩვენ ქვეყნებს შორის, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთობებია; საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების მეგობრობამ კი შექმნა პირობა იმისა, რომ ეს ურთიერთობები უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყვნენ. თუ ზოგადად ვიტყვით, აღნიშნული ურთიერთობები მოიცავენ პოლიტიკურ, საგაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას. ჩვენ საერთო მიზნები გვაქვს, ერთნაირად ვებდეთ ჩვენს მომავალს ევროატლანტიკური სტრუქტურების – ნატოსა და ევროკავშირის – შემადგენლობაში. თხოუმეტი წლის წინ უკრაინა საქართველოს მეთოთხმეტე საგაჭრო პარტნიორი იყო, დღეს – იგი პირველ სამეულში შედის. 2001 წელს საგაჭრო-ეკონომიკური ბრუნვა 47 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. ექვს წელიწადში მან 400 მლნ შეადგინა და ჩვენ დღეს, გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ სამ წელიწადში ამ ციფრმა ერთ მილიარდს მიაღწიოს. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენმა ხელისუფლებამ, საელოების მეშვეობით, შექმნა ისეთი სამართლებრივი ბაზა, რომელმაც ხელოფები გაუხსნა მწარმოებლებს, ბიზნესს და სხვა სახის ურთიერთობებს. როცა საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, გვულისხმობთ ისეთი სახის ხელშეკრულებებს, როგორიცაა ორმაგი დაბეგვრიდან განთავისუფლება, კოოპერირება ორ ქვეყანას შორის, შეთანხმება თავისუფალი საგაჭრო რეჟიმის შესახებ. საქართველოსა და უკრაინის რეგიონებს შორის აქტიურად მიმდინარეობს ურთიერთთანამშრომლობის პროგრამების განხორციელება. მაგალითად, კახეთსა და ივანო-ფრანკოვსკს შორის. საუბარია, არამარტო ეკონომიკურ, არამედ კულტურულ ურთიერთობებზეც. უკვე განხორციელდა ოცდაათი ბავშვის დასვენება კახეთიდან ივანო-ფრანკოვსკში და პირიქით. უფრო მეტიც, ივანო-ფრანკოვსკის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გამოჰყო ადგილი, სადაც კახეთის კუთხე შეიქმნება. ასევე, მეგობრული ურთიერთობებია იმერეთსა და ჟიტომირის ოლქს შორის. ჩატარდა ჟიტომირის დღეები იმერეთში და იმერეთისა – ჟიტომირში. ამგვარი ვიზიტების დროს ერთმანეთს სტუმრობენ ხოლმე არამარტო კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, არამედ საგაჭრო-ეკონომიკური სფეროების წარმომადგენლებიც, რაც ხელს უწყობს ორივე ქვეყნის ურთიერთკავშირების გააქტიურებას. ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს უკრაინის წელიწადი, 2005 წლის აპრილიდან 2006 წლის აპრილამდე კი უკრაინაში საქართველოს წელიწადი აღინიშნებოდა. მსგავსი გამოცდილება უბრეცედენტოა. ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა, ჩემი აზრით, ეს წელიწადი ძალიან ნაყოფიერი იყო, კულმინცია

პერშოю людиною, яка подарувала Грузії кілька марш-рутних автобусів. Але загалом я намагаюся у своїй професійній діяльності не використовувати приватні контакти з друзями.

Як ви оцінюєте розвиток грузинсько-українських стосунків за час вашої роботи послом в Києві?

